საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი 13.03.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

*საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:*

**ანა კლდიაშვილი** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი, (სხდომის მდივანი);

**ნინო ძოწენიძე** - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

**კონსტანტინე ნანობაშვილი** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**რუსუდან ტყეშელაშვილი** - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

**დავით კახნიაშვილი** - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე);

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

*ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. ნანი შარუხია - სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის დირექტორი;
2. ზვიად ხაჭაპურიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის დირექტორი;
3. ნინო კობახიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
4. კარლო ღურწკაია - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,XXI საუკუნეს'' დამფუძნებელი;
5. ჯემალ ჯინჯოლავა - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,XXI საუკუნეს'' დირექტორი;
6.დეკანოზი მირიან (ფირცხალაიშვილი) - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორი;
7. ლევან გიორგაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
8. დეკანოზი თომა (სიხარულიძე) - ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის პრორექტორი;
9. ირმა ჯიბუტი - ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ტექნიკური მენეჯერი;
10. ნათია ჯანაშია - შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის დირექტორი;
11. მზია დაუშვილი - შპს - პოლიგლოტის დირექტორი;
12. მაია ალანია - შპს - კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების დირექტორი;
13. ნანა მიქავა - შპს - კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების დირექტორის მოადგილე;
14. მარიამ ხუციშვილი - შპს - კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების ხარისხის მართვის მენეჯერი;
15. ქეთევან დოჩანაშვილი - შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორი;
16. თამარ ხარძიანი - შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორის მოადგილე;
17. თამარ უთნელიშვილი - შპს - თამარიონის დირექტორი;
18. თეა ლომაია - შპს - თე.ლო. ეტალონის დირექტორი;
19. ზაზა ჭანტურია - შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი;
20. მარინა გორშკოვა - სპს - კერძო საშუალო სკოლა ,,დავითიანი-მარინა გორშკოვას'' დირექტორი;
21. თამაზ ნაცვლიშვილი - შპს - „მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის გენერალური დირექტორი;

*ავტორიზაციის ექსპერტები:*
კახა ჟღენტი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ბარნაბიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ჯანაშია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის  მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,XXI საუკუნეს'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - თე.ლო. ეტალონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. სპს - კერძო საშუალო სკოლა ,,დავითიანი-მარინა გორშკოვას'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - „მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგიდან ამოეღოთ შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის  განხილვის საკითხი, ცენტრში წარმოდგენილ იქნა დაწესებულების შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას, რადგანაც ვერ მოხერხდა დროულად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობა. ნანა ჭიღლაძემ მიმართა საბჭოს ემსჯელა ,,შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ, რადგანაც ასევე შემოსული იყო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილ იქნა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში მომხდარიყო მოსწაველთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობის კორექტირება.  თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგმლობა და კენჭისყრაზე დააყენა მისი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:**

1. სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,XXI საუკუნეს'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - თე.ლო. ეტალონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. სპს - კერძო საშუალო სკოლა ,,დავითიანი-მარინა გორშკოვას'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - „მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. ,,შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხილვა.

**1. სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სკოლა განთავსაბულია ქ. აბაშაში კაჭარავას ქუჩაზე N5-ში მდებარე შენობაში იჯარის ხელშეკრულებით. სკოლა ფლობს 788,08 კვ.მ. ფართს. ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. შენობაში არის 14 საკლასო თახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, მანდატურის ოთახი, ადმინისტრაციის ოთახი, სააქტო დარბაზი და 5 სველი წერტილი

სკოლას აქვს 163 ინდივიდუალური მერხი. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებას გააჩნია მხოლოდ ბიოლოგიის ლაბორატორიის გარკვეული ნაწილი. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას დადებული აქვს ახალი ხელშეკრულება შპს - „ჯეო – დეკორთან“, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიების ღირებულების გადახდის ბოლო ვადა არის 2012 წლის 15 აპრილი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენაზე. ამ ეტაპზე გადახდილია მხოლოდ 3000 ლარი. წარმოდგენილი იყო გადახდის დოკუმენტი და შპს ,,ჯეო დეკორთან“ დადებული ძველი ხელშეკრულება. ვიზიტის დროს ახალი ხელშეკრულება წარმოდგენილი არ იყო.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში დაფიქსირდა 7 კომპიუტერი. დირექციის განმარტებით 4 კომპიუტერი სკოლამ ათხოვა მოსწავლეებს სასწავლო დავალებების შესასრულებლად. წარმოდგენილი იყო 11 კომპიუტერის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სკოლას აქვს გარე პერიმეტრის სათვალთავლო 2 ვიდეო კამერა. შიდაპერიმეტრზე კამერები არ არის. წარმოდეგნილი იყო არსებული კამერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კამერების მონაცემები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. კომპიუტერულ კლასში ასევე დამონტაჟებული იყო ერთი სათვალთავლო კამერა.

სკოლაში არის ერთი პანდუსი. კიბის მეორე უჯრედზე პანდუსი არ იყო დამონტაჟებული.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ უსაფრთხოების კამერები დამონტაჟებული იყო. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა პანდუსების დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტომასალა.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა მერხებისა და კომპიუტერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 163-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი მატერიალური რესურსით, კერძოდ, მერხების რაოდენობის გათვალისწინებით, შეუძლია 163 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 163-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 163-ით.

**2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულების კიბეებზე დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსები. შენობას, აგრეთვე, აქვს ლიფტი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს არ მუშაობდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ლიფტი არ მუშაობდა, კოლეჯი ფლონდა პანდუსს, რომლითაც იგი ავტორიზაციის სტანდარტს აკმაყოფილებდა.

საბჭომ გაიზიარა დაწესებულების დირექტორის მოსაზრება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სუდენტთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის, პეტრე წურწუმიას, განმარტებით, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების ინვენტარი საკმარისი იყო 163 პროფესიული სტუდენტის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, აღსანიშნავი იყო ავტორიზაციის დებულების ნორმა, რომლის თანახმადაც, დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში 80 პროფესიული მასწავლებელი იყო.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, იმ დროისათვის, საზოგადოებრივ კოლეჯში 81 პროფესიული მასწავლებელი იყო.

პეტრე წურწუმიას განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავდა ორცვლიანი სწავლების განხორციელებას, მაქსიმუმი რაოდენობა, რომელზეც ცენტრს შეეძლო თანხმობის მიცემა იყო 280. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას შეეძლო 280 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 401962890) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

**3. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,XXI საუკუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სუდენტთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 230 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,XXI საუკუნის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,XXI საუკუნის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,XXI საუკუნეს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404925328) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

**4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულების თვითშეფასების კითხვარის მიხედვით მიწისა და შენობა - ნაგებობის საერთო ფართი მითითებული იყო 1182 კვ.მ. ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებითა და საკადასტრო გეგმის მიხედვით დადგინდა, რომ სპორტული დარბაზი არ იყო დარეგისრირებული საჯარო რეესტრში.

1.2 სკოლამ სასკოლო ლაბორატორიისათვის გამოჰყო დამატებითი ოთახი, რომლის რემონიც იგეგმება ახალი სასწავლო წლისათვის.

1.3 სკოლის კამერები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ფართი საქართველოს საპატრიარქოსთან გაფორმებული თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიას.

დაწესებულებას, ამონაწერის მიხედვით, დაუდასტურდა ჯამში 1665,88 კვ.მ. ფართი.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა კამერების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და ფოტომასალა კამერების დამონტაჟების დასადასტურებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კამერები შესაბამისობაში იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 340-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ

დაწესებულებას შეეძლო 340 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 233734082) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

**5. ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „მინიტელსისთან“ 4 უსაფრთხოების კამერის შეძენის თაობაზე.

**2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 საგანს ,,სახარების განმარტება“ ასწავლის ბათუმის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, ვიქტორ გიორგაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 7 მარტს შპს - მინტელისსა და ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლას შორის უსაფრთხოების კამერების თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

2.1 შენიშვნაზე ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ მეუფის კურთხევით სახარების განმარტებას მოსწავლეებს ასწავლიდა ბათუმის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიის სტუდენტი მამა ვიქტორ გიორგაძე. დავით კახნიაშვილის მოსაზრებით მოცემული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 320-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 320 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 242008965) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

**6. შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლას აქვს შპს - ,,ინსტა – ჯორჯიასგან“ შეძენილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობის კომპლექსი. ლაბორატორია განთავსებულია კაბინეტში, რომელსაც არა აქვს გამწოვი, თუმცა აქვს დიდი ფანჯრები და სველი წერტილი.

1.2 წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლას არ ჰყავს მანდატური.

1.3 ნ. რამიშვილის №6–ში, სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა 3 გარე და 10 შიდა პერიმეტრის კონტროლის ვიდეკამერა. ჭავჭავაძის №37–ში მდებარე შენობაში დამონტაჟებულია მხოლოდ შიდა პერიმეტრის კონტროლის 8 ვიდეკამერა. დირექტორის განმარტებით, შპს - ,,აი–ეს–ეი სერვისთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება 5 ვიდეოკამერის შეძენის თაობაზე. დაწესებულებაში არსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ პარამეტრებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან ლაბორატორიის ოთახს ჰქონდა დიდი ფანჯრები, აღნიშნული ხარვეზი იყო არაარსებითი ხასიათის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2012 წლის 29 თებერვალს დადებული ხელშეკრულება.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა გარე პერიმეტრის კონტროლის ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მერხი ჰქონდა დაწესებულებას. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა 316 სასკოლო მერხი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების

თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 316 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 316-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბრიტანულ ქართულ აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204497829) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 316-ით.

**7. შპს - პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 სკოლის საათობრივი ბადის მიხედვით, მე-11 კლასში არჩევითი საგნის სტატუსით ტარდება ბიოლოგია (2 საათი). ეროვნული სასწავლო გემის მიხედვით კი ბიოლოგია მე-11 კლასში არ განიხილება როგორც არჩევითი საგანი.

1.2 სკოლას არა აქვს არჩეული საგნები იმ არჩევითი საგნების ჯგუფიდან, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა. მე-11 კლასში მოსწავლე 2 არჩევითი ბლოკიდან (საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების და ესთეტიკური და შრომითი და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფებიდან) უნდა ირჩევდეს 2 საგანს (მაგალითად: ეკომომიკას, სახელმწიფო და მოქალაქეობას, სამართალს, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, ხაზვას, თეატრალურ ხელოვნებას და სხვა). მე-12 კლასში მოსწავლე 3 ბლოკიდან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების; ესთეტიკური და შრომითი და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფებიდან) უნდა ირჩევდეს ნებისმიერ ერთ საგანს (განსხვავებულს იმისგან რაც იყო არჩეული მე-11 კლასში). სკოლის საათობრივ ბადეში და სკოლაში გმაოკრულ ცხრილში ზემოაღნიშნული არჩევითი საგნები მითითებული არ იყო.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 სკოლას გააჩნია 8 უსაფრთხოების კამერა. ვიდეო კამერების მონაცემები არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ პარამეტრებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-11 კლასის მოსწავლეების მშობლების თხოვნით, ბიოლოგიას ასწავლიდნენ, როგორც არჩევით საგანს. თუმცა, სკოლის პედსაბჭოს გადაწყვეტილებით მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული. შესაბამისად, მე-11 კლასში ბიოლოგია არჩევით საგნად არ ისწავლება.

1.2 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევითი საგნების ჯგუფიდან არჩეული ჰქონდა სახელმწიფოსა და სამართლის და ხელოვნების ისტორია. რაც შეეხება ბიოლოგიის სწავლებას მე-12 კლასში, აღნიშნული საგანი ისწავლებოდა, როგორც სააბიტურო საგანი.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 5 მარტს შპს - გლობოტექსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უსაფრთხოების კამერის შეძენის თაობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ გარე პერიმეტრის კამერის პარამეტრები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ მახასიათებლებს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი მერხი იყო სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში იყო 137 მერხი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 137-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი  დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 137 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პოლიგლოტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 137-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პოლიგლოტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200160798) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 137-ით.

**8. შპს - კოლეჯ და სკოლა-ლიცეუმ ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 350 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კოლეჯ და სკოლა-ლიცეუმ ფესვების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კოლეჯ და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206262088) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

**9. შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურთან მიმართებით**

1.1 შპს ,,საერთაშორისო ქართული სკოლა" მდებარეობს ქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალი, №8ა კორპუსი. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლას აქვს 1278.00კვ.მ სასწავლო ფართი. აღსანიშნავია, რომ იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია მეიჯარესთან საჯარო რეესტრში არ არის დაფიქსირებული.

1.2 სკოლას არა აქვს ლაბორატორია, ვინაიდან სასწავლებელში მხოლოდ დაწყებითი საფეხურია.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით 1.1 შენიშვნა გამოსწორებულია, კერძოდ, ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და კანონმდებლობით დადგენილი წესით დასტურდება სკოლის კანონიერ მფლობელობაში 1024,19 კვ.მ. ფართის არსებობის ფაქტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 1.1 შენიშვნა არსებითი ხასიათის იყო და მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში დაწესებულება ვერ მიიღებდა ავტორიზაციას. ამასთან, საბჭოს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე თავჯდომარემ მოხსნა 1.2 შენიშვნა.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში ამ დროისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას ამ ეტაპისათვის ჰყავდა 54 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 110-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა სკოლაში არსებული მერხების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას გააჩნდა 70 მერხი, ხოლო ამ ეტაპისათვის მას შეძენილი ჰქონდა დამატებით 40 ინდივიდუალური მერხი, რისი დამადასტურებელი ხელშეკრულების წარმოდგენაც მოხდა ზეპირ მოსმენაზე. შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შპს - საერთაშორისო ქართულ სკოლას შეეძლო 110 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციისა  და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 110-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საერთაშორისო ქართულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 202456751) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 110-ით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება: 20:16
სხდომა განახლდა: 20:36

10. შპს - თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

**1. მატერიალურ რესურთან მიმართებით:**

1.1 სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - ,,ჯეო-დეკორთან“ (24.01.2012) ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენაზე (12000 ლარის ღირებულების, 208 ერთეული). სკოლას არ მიუღია ლაბორატორიის აღჭურვილობა და არ არის გადახდილი საფასური.

1.2 სკოლის სველი წერტილი არაა ადაპტირებული.

1.3 სკოლას 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N29/02/12-03 ჯესკო ჯგუფთან 2 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერის შეძენაზე გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად, თუმცა თანხა გადარიცხული არ არის და სკოლას არ გააჩნია გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები. ასევე, არ კონტროლირდება სკოლის შიდა პერიმეტრი.

1.4 სკოლას მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვს.

მომხსენებელმა დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 12 მარტს ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-2120 კორესპონდენცია, რომლის თანახმად 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა შპს - „ჯეო-დეკორისათვის“ 1300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით - სველი წერტილის ამსახველი ფოტო-მასალა, რომლის მიხედვით სველი წერტილი სკოლაში არ არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით - შპს „ჯესკო ჯგუფთან“ დადებული შეთანხმების ოქმი, რომლის მიხედვით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების კამერების მონტაჟი უნდა მოხდეს 2012 წლის 1 აპრილამდე და 2500 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით - 2012 წლის 12 მარტს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულება.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შპს - „ჯეო-დეკორთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვალდებული იყო გადაეხადა ლაბორატორიის სრული ღირებულების 10%, ხოლო მიწოდება უნდა მოხდეს 2012 წლის აპრილის თვის ბოლოსათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, გადაეცა მომხსენებლისათვის შპს „ჯეო-დეკორთან“ დადებული ხელშეკრულება, რათა ცენტრის წარმომადგენელი გაცნობოდა ხელშეკრულების შინაარს და დაედასტურებინა წარმომადგენლის განმარტების შესაბამოსობა ხელშეკრულების პირობებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ თან არ ჰქონდათ ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულებას გაეცნენ დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტები.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას შპს - „ჯეო-დეკორთან“ დადებული ჰქონდა სტანდარტული ტიპის ხელშეკრულება და დაადასტურა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭო გაეცნო წარმოდგენილ ფოტო-მასალას და დაწესებულების წარმომადგენელს მიეცა შესაბამისი განმარტება ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მოახდენდა 1.2 შენიშვნის გამოსწორებას.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მომხსენებლის მიერ დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ყველა ხარვეზი გამოსწორებული იქნება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ავტორიზაციის პროცესი იწყება ავტორიზაციის მაძიებლის ინიციატივით, შესაბამისად, სკოლას შეეძლო მაშინ მიემართა ცენტრისათვის, როდესაც მისი მატერიალური ბაზა სრულ შესაბამისობაში იქნებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, კონსტანტინე ნანობაშვილმა, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ გამოსწორებული იყო მხოლოდ 1.4 შენიშვნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თამარიონის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, ხოლო დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება მოხდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. საბჭომ განმარტა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის თანხის ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, ავტორიზაციის სტანდარტი არ ითვლება დაკმაყოფილებულად. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საბჭო ითვალისწინებს მონიტორინგის სამსახურის როლს, რომელიც აუცილებლად გადაამოწმებს დაწესებულების მატერიალური ბაზის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს და ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში სკოლას გაუუქმდება ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 160-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას არსებული რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 108 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თამარიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 108-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თამარიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417876739) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 108-ით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულებას შემუშავებული არ ჰქონდა VII-XI კლასების საღვთო სჯულის თემატური და კალენდარული გეგმები.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორია. დაწესებულება აწარმოებს მოლაპარაკებებს შპს "ინსტა–ჯორჯიასთან". ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას გადახდილი ჰქონდა 800 ლარი, თუმცა დაწესებულებას შპს - ,,ინსტა ჯორჯიასთან" ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული.

2.2 შენობების გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროღუმელების საშუალებით, თუმცა მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილ არ იქნა.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ იყო წარმოდგენილი მე–6 კლასის ინგლისური ენის, მე–7 კლასის სამოქალაქო განალების და სპორტის, მე–12 კლასის გლობალური პრობლემების გეოგრაფიი სახელმძღვანელოები.

2.4 დაწესებულებას არა აქვს ვებგვერდი.

2.5 სკოლას წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ ჰყავს მანდატური.

**3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

3.1 საგანს - საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება ასწავლის ზურაბ ხახუა, რომელსაც დამთავრებული აქვს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი და მინიჭებული აქვს ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია.

3.2 საგანს - "საღვთო სჯული" ასწავლის ეკატერინე ცაავა, რომელსაც დამთავრებული აქვს ერთწლიანი სენაკის წმ. ნინოს სახელობის სასულიერო სასწავლებელი და მინიჭებული აქვს სამრევლო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგის კვალიფიკაცია.

3.3 საგანს - „ხელოვნება" ასწავლის მედეა გვასალია, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მინიჭებული აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

3.4 სკოლაში ცეკვის გაკვეთილს ასწავლის პედაგოგი რომელსაც დამთვრებული აქვს ქ. სენაკის ხელოვნების განვითრების ცენტრის ქორეოგრაფიული სტუდიის სრული კურსი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ საღვთო სჯულს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა, როგორც დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა აღნიშნული საგნის კალენდარული გეგმები.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესაძენად სკოლამ 2012 წლის 9 მარტს შპს - ინსტა ჯორჯიას გადაურიცხა დამატებით 5200 ლარი. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ვებსივრცის ფლობის თაობაზე შპს - ,,კაუკასუს ონლაინთან" დადებული ხელშეკრულება. ადგილზე გადამოწმების შედეგად გამოირკვა, რომ სკოლის ვებგვერდი ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლის გათბობით უზრუნველყოფა. ავტორიზაციის ექპერტმა, კახა ჟღენტმა აღნიშნა, რომ გათბობის საშუალებად დაწესებულება იყენებდა ელექტროღუმელებს.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ სკოლამ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2012 წლის 13 მარტს დადო ხელშეკრულება.

3.1 შენიშვნაზე ავტორიზაციის ექსპერტმა კახა ჟღენტმა აღნიშნა, რომ საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელს თავად ჰქონდა გახსნილი ავტომობილის მართვის შემსწავლელი კურსები. სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან შპს - თე.ლო. ეტალონის პედაგოგს ჰქონდა საკმარისი გამოცდილება, რათა ესწავლებინა საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოება. დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საგანი სკოლებისთვის იყო ახალი და შესაბამისად ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო აღნიშნული საგნის კვალიფიციური პედაგოგის მოძიება.

3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მოცემული ხარვეზი იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან პიროვნებას მინიჭებული ჰქონდა საღვთო სჯულის პედაგოგის კვალიფიკაცია.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - თე.ლო ეტალონის დირექტორის 2012 წლის 5 მარტის ბრძანება მაკა მაკალათიას ხელოვნების მასწავლებლად დანიშვნის თაობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნულ პიროვნებას დამთავრებული აქვს სსიპ - თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მინიჭებული აქვს სახვითი ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

3.4 შენიშვნაზე დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ მისი აზრით, მოცემული ხარვეზი იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან ცეკვას ასწავლიდა პედაგოგი, რომელსაც დამთვრებული ჰქონდა ქ. სენაკის ხელოვნების განვითრების ცენტრის ქორეოგრაფიული სტუდიის სრული კურსი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა დამატებით 100 ინდივიდუალური მერხის თაობაზე შპს - ,,კომპანია ნიკასთან" 2012 წლის 6 მარტს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების

რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თე.ლო. ეტალონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თე.ლო. ეტალონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 239895663) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

**12. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლა ფლობს 52269.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს მასში არსებული 7 შენობა-ნაგებობებით (№1 - 712.1 კვ.მ.; №2 - 628.4 კვ.მ.; №3 - 857.8 კვ.მ.; №4 - 15.7 კვ.მ. ; №5 - 472.3 კვ.მ.; №6 - 33.3 კვ.მ.; №7 - 20 კვ.მ.).

ამჟამად, სკოლა სასწავლო პროცესისთვის იყენებს: №1 - 712.1 კვ.მ.-ის და №2 - 628.4 კვ.მ.-ის ფართობის მქონე შენობობებს, სულ 1340.5 კვ. მ.-ს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს №1 შენობის პირველ, მესამე, მეოთხე სართულზე და №2 შენობაში. №1 შენობის მეორე სართულზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

1.2 სკოლის საკუთრებაში სულ არის 10 უსაფრთხოების კამერა. სკოლის პირველ შენობაშიარის: 2 გარე პერიმეტრის კამერა, რომლებიც აკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს, 2-2 შიდა პერიმეტრის კამერა (სულ 6) პირველ, მესამე და მეოთხე სართულზე.

სკოლის მეორე შენობაში არის: 2 შიდა პერიმეტრის კამერა, რომელთაგან ერთი აკონტროლებს შენობის შემოსასვლელ დერეფანს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა კამერების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ კამერები უკვე დამონტაჟებული იყო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კამერები შესაბამისობაში იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 500 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 215128644) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

**13. სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით**

1.1 დაწესებულება მდებარეობს ქ. ბოლნისი დ. აღმაშენებლის N27-ში. სკოლა იჯარის ხელშეკრულებით ფლობს ქ. ბოლნისის გამგეობის ბალანსზე რიცხული ბაგა-ბაღის შენობის ნაწილის 632.9 კვ.მ. ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი და სველი წერტილი, ასევე შესასვლელი დერეფანი სკლასა და ბაღს აქვთ საერთო სარგებლობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს შეთანხმება.

1.2 სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო დეკორთან“ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის შესყიდვის თაობაზე. სკოლას ავანსის სახით გადახდილი აქვს ღირებულების 10%, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს მთლიანი ღირებულების 40%-ის გადახდა, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა გადანაწილდება 2012 წლის 1 სექტემბრამდე. შპს „ჯეო დეკორს“ აღებული აქვს ვალდებულება ლაბორატორიის აღჭურვილობის 2012 წლის 30 აპრილამდე მიწოდების შესახებ.

1.3 სკოლის საკუთრებაშია 8 - ერთეული კომპიუტერი, აქედან 5 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 4 მათგანია ჩართული ინტერნეტ ქსელში.

1.4 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდი დამუშავების პროცესში იყო.

1.5 ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში მიმდინარეობდა კამერების მონტაჟი.

1.6 სკოლას, ექსპერტთა ვიზიტის დროს, მანდატური არ ჰყავდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლის ბიბლიოთეკით, სამედიცინო ოთახითა და სველი წერტილებით საბავშვო ბაღი არ სარგებლობდა. სკოლასა და ბაღს საერთო ჰქონდათ მხოლოდ აღნიშნულ ოთახებში შესასვლელი დერეფანი. დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვასა და ბოლნისის მუნიციპალიტეტს შორის დადებული ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სკოლას უფლება ჰქონდა ესარგებლა პირველ სართულზე არსებული დერეფნითა და სველი წერტილით. აღნიშნული ინფორმაცია ასევე დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ჯეო დეკორთან გაფორმებული ხელშეკრულება ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის შეძენის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა შპს - ჯეო დეკორის მიერ გაცემული წერილი, რომლის მიხედვითაც კომპანია კისრულობს ვალდებულებას, რომ სკოლას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიას მიაწვდის 2012 წლის 30 აპრილამდე.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის საკუთრებაში არსებული ყველა კომპიუტერი იყო ინტერნეტში ჩართული და დაწესებულების ვებგვერდიც გამართულად ფუნქციონირებდა. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდი ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ უსაფრთხოების კამერები შეიძინა და დაამონტაჟა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ექსპერტის განმარტებით დამონტაჟებული ვიდეოთვალის პარამეტრები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სკოლის მიერ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2012 წლის 5 მარტს დადებული ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 135-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 135 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 135-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას (საიდენტიფიკაციო კოდი: 225391652) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 135-ით.

**14. შპს ,,მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა ორი ფართი, რომელთაგანაც ერთზე დასტურდება სკოლის მართლზომიერი მფლობელობა. აღნიშნული ფართი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, არის 1000 კვ.მ, რომელიც ექსპერტთა მიერ შემოწმდა და დადასტურდა მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო იმსჯელებდა მხოლოდ 1000 კვ.მ. ფართის ფარგლებში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 206 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ,,მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,მჭევრის" დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 206-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 208142339) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 206-ით.

15. ,,შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. შპს - მახინჯაურის ლიცეუმი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობიდან პროფესიული სტუდენტის რაოდენობის განსაზღვრას 200-ით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსაწავლეთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდება განესაზღვროს 200-ით."

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდება განესაზღვროს 200-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:37 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი